თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

- **სასწავლო კურსის დასახელება -** მეცნიერების ფილოსოფია
- **სასწავლო კურსის კოდი** - S.2.P.02
- **ლექტორები** - ირმა შიოშვილი, ასოც.პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

  ტელ.:2 7-09-90; მობ. **899 194422;** ელ. ფოსტა: irma-giorgi@posta.ge

  კონსულტაციის დღე: სამშაბათი, 15 საათი. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანატი.
- **კრედიტების რაოდენობა (ECTS)** - 5კრედიტი, ანუ 125 სთ. აქედან 30 სთ არის საკონტაქტო, ხოლო 95 დამოუკიდებელი მუშაობისათვის. 30 საკონტაქტო საათიდან 15 არის სალექციო, 15 სასემინარო. კვირაში ჩატარდება 2 საათი.
- **სასწავლო კურსის სტატუსი -** სავალდებულო. მაგისტრატურის სტუდენტებისათვის
- **სასწავლო კურსის მიზნები -**

  კურსის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს სისტემატური ცოდნა მეცნიერების რაობის, მეცნიერული შემეცნების მეთოდების და საშუალებების, ცოდნის განვითარებისა და დასაბუთების კანონების, მეცნიერული თეორიების ფუნქციებისა და მათი ანალიზის, აგრეთვე მეცნიერული თეორიებისა და ჰიპოთეზების დასაბუთებისა და შემოწმების პროცედურების შესახებ.
- **სასწავლო კურსის სწავლის შედეგები** -

  სრული კურსის მოსმენის შემდეგ სტუდენტი შეიძენს გარკვეულ ცოდნას მეცნიერების პრობლემებზე: მეცნიერების წარმოშობის, მიზნებისა და ფუნქციების, მეცნიერული მეთოდოლოგიის, მეცნიერების განვითარების კანონზომიერებისა და მეცნიერების მომავლის, მისი პრაგმატული და მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობის შესახებ, რამაც შეიძლება აღძრას შინაგანი სტიმული მეცნიერების სფეროში მუშაობისათვის.

- სალექციო კურსის შედეგი:

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ფლობს სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სტუდენტი შეიძენს ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში. | აქვს გარკვეული ცოდნა მეცნიერების პრობლემებზე: მეცნიერების წარმოშობის, მიზნებისა და ფუნქციების, მეცნიერული მეთოდოლოგიის, მეცნიერების განვითარების კანონზომიერებებისა და მეცნიერების მომავლის, მისი პრაგმატული და მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობის, მეცნიერულობის უნივერსალური კრიტერიუმების შესახებ. ამასთან, სტუდენტები აცნობიერებენ სხვადასხვა ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტირების მნიშვნელობას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია აზრის სიზუსტის მიღწევა და მისი ადეკვატური გამოყენება. აქვს კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი. | შეუძლია სპეციფიკური მეცნიერების ფილოსოფიური ტერმინოლოგის ადეკვატური გამოყენება, მეთოდოლოგიური შეცდომების გაცნობიერება, სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმული შეხედულებების და შექმნილი ტექსტების აღქმა და აზრის ინტერპრეტაცია. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. ფლობს ინფორმაციის სინთეზის და რეზიუმირების უნარს. | ინდუქციის, დედუქციის და სხვა მეცნიერული მეთოდების მეშვეობით შეუძლია კონკრეტული დასკვნების გაკეთება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. | შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მომზადება საგნის ნებისმიერ საკითხებზე. |
| სწავლის უნარი | უკეთესად შეუძლია სწავლის პროცესის მართვა, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი თავის მოტივირება. | მეცნიერული აზროვნების კრიტერიუმების, მეცნიერული კანონების, მეცნიერული მეთოდების შესწავლა უვითარებს სტუდენტს სწავლის უნარს და აღძრავს შინაგან სტიმულს მეცნიერების სფეროში მუშაობისათვის. |
| ღირებულებები | შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება ღირებულებებისადმი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერების ფილოსოფიის ყველა მიმდინარეობას, მათს დამოკიდებულებას სხვადასხვა ღირებულებებისადმი, რის შედეგადაც უყალიბდება საკუთარი ფილოსოფიური ღირებულებების სისტემა. |

- **სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები** - არ აქვს.

- სასწავლო კურსის შინაარსი

I თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 1.

მეცნიერების ფილოსოფიის საგანი. მეცნიერების ფილოსოფია და მეცნიერების სოციოლოგია. მეცნიერების ფილოსოფია და ეპისტემოლოგია.

ძირითადი ლიტერატურა:

1. პოპერი, კ. რ., *ვარაუდები და დარღვევები.* ( ამზოკაძე, მ., და სხვები, მთარგმნელები). თბილისი: კვარი. გვ. 69-80.

II თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 2.

მეცნიერების არსი. მეცნიერება და ცოდნა. მეცნიერება და ცოდნა. მეცნიერების ეთოსი. მეცნიერულობის უნივერსალური კრიტერიუმები.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კუკანია, ა., კუკანია, ვ., (2004). *ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი. გვ. 122-126.

III თემა (ლექცია–ზეპირი გამოკითხვა 1–1) კვირა 3.

თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ბუნების გააზრება ანტიკურ აზროვნებაში. მეცნიერება და ხელოვნება. ცოდნის კლასიფიკაცია. მეცნიერებათა ჩამოყალიბება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კუკანია, ა., კუკანია, ვ., (2004). *ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი. გვ. 187-203.

IV თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 4.

მეცნიერების გაგება შუა საუკუნეებში და შუა-საუკუნეებრივი ცოდნის ხასიათი. ტრადიციონალიზმი, რეტრო-სპექტრულობა, ექსტაზი, ეგზეგეზა. მეცნიერული აზროვნება-სახარებისა და ეკლესიის მამების თხზულებების ინტერპრეტაცია. სქოლასტიკა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კორძაია, ჯ.,( რედაქტორი.) (1993). *ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში.* თბილისი: განათლება. *გვ.* 104-114.

V თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 5.

მეცნიერების ახლებური გაგება რენესანსის და პოსტრენესანსულ ეპოქაში. სამართლის ფილოსოფია შუა საუკუნეებში. თომა აქვინელი და მისი სკოლა. სქოლასტიკის ბატონობა. ღმერთის იდეა ძირითადი იდეები: სიმართლე, კანონი, სათნოება. ღვთაებრივი, ბუნებითი და ადამიანის მიერ დადგენილი კანონები.

ძირითადი ლიტერატურა:

კორძაია.ჯ.(,რედაქტორი.)*ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში.* (1993).თბილისი:განათლება.გვ.141-167.
დამატებითი ლიტერატურა:

1. Скирбекк, Г., Гилье, Н., (2000). *История философии.* ( В. Кузнецов, მთარგმნელი). Москва: Владос. ст. 168-177.

**VI თემა (ლექცია–ზეპირი გამოკითხვა 1–1) კვირა 6.**

მეცნიერული აზროვნების კრიტერიუმები და მეცნიერული კანონები. საგნობრიობა, დასაბუთებულობა, ინტერსუბიექტურობა, შემოწმე-ბადობა, სისტემურობა, რაციონალურობა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კუკანია, ა., კუკანია, ვ., (2004). *ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი. გვ. 147-150.

**VII თემა (ლექცია–სემინარი–1) კვირა 7.**

ჭეშმარიტების პრობლემა მეცნიერების ფილოსოფიაში. მეცნიერების მიზანი. ჭეშმარიტება, როგორც აზრის შესაბამისობა საგნობრივი ვითარებისადმი. შემოწმებადობის პრობლემა. ასახვის თეორიის კრიტიკა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. პოპერი, კ., (2000). *რჩეული ნარკვევები.(ნ მაჩხანელი,მთარგმნელი) თბილისი: დიოგენე.გვ.*179-197.

დამატებითი ლიტერატურა:

1. პოპერი, კ. რ., *ვარაუდები და დარღვევები.* ( ამბოკაძე, მ., და სხვები. მთარგმნელები). თბილისი: კვარი. გვ. 254-260.

**VIII თემა (ლექცია–შუალედური წერა 1–1) კვირა 8.**

მეცნიერება და მეცნიერული მეთოდები. მეთოდოლოგიური მონიზმი და პლურალიზმი. ინდუქცია და დედუქცია. მეთოდოლოგია.

ძირითადი ლიტერატურა:

1. პოპერი, კ., (2000). *რჩეული ნარკვევები.* (მაჩხანელი, ნ., მთარგმნელი). თბილისი: დიოგენე. გვ. 129-139.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Скирбекк Г., Гилье Н., (2000). *История философии..* (В. Кузнецов, მთარგმნელი). Москва: Владос. ст. 256-270.

**IX თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 9.**

მეცნიერებათა კლასიფიკაცია ახალი დროის ფილოსოფიაში. მეცნიერებანი ბუნების შესახებ და მეცნიერებანი კულტურის შესახებ, ანუ გონისმეცნიერებანი. გონის ცნება. ახსნა და გაგება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ბუაჩიძე, თ., (1991). *სიცოცხლის ფილოსოფია.* თბილისი: მეცნიერება. გვ. 13-18.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Дильтей, В. (1988). Наброски к критике исторического разума. (Л. Огурцов, მთარგმნელი). *Вопросы философии.* #4.ст. 135-153.

**X თემა (ლექცია–ზეპირი გამოკითხვა 1–1) კვირა 10.**

ისტორიული შემეცნების პრობლემა ნეოკანტიანელობაში (ვ. ვინდელბანდი, ჰ. რიკერტი). ისტორიოგრაფია და ბუნების მეცნიერება. მაგენერალიზებელი და მაინდივიდუალიზებელი მეთოდები. ღირებულება, როგორც ისტორიული შემეცნების პრინციპი.

ძირითადი ლიტერატურა:

1. თევზაძე, გ., (2002). *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.278-299.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Риккерт, Г., (1998). *Науки о природе и науки о культуре.* (А. Зотов, რედაქტორი და მთარგმნელი). Москва: Республика. ст. 54-59; 89-103.

**XI თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 11.**

მაქს ვებერი. რაციონალობა. მეცნიერების ფილოსოფია და იდეალური ტიპები. ღირებულებებისაგან თავისუფალი მეცნიერება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კოდუა, ე., (1966). *ისტორიის ფილოსოფია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 164-178.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Вебер, М. (1990). *., Избранные произведения.* ( М. Левина და სხვები, მთარგმნელები). Москва: Прогресс. ст. 369-385.

**XII თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 12.**

მაქს შელერი. მეცნიერული ცოდნის ისტორია. შემეცნება და ადამიანის ლტოლვები. ცოდნის ფორმები.

ძირითადი ლიტერატურა:

1. შიოშვილი, ი., (2007) მაქს შელერი: ცოდნის ფორმები და განათლება. ჟურნალში'' მაცნე''. ტომი #1 ,თბილსი: უნივერსალი. გვ. 68–74.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Шеллер, М., (1994). *Избранные произведения. (*А. Денежких, მთარგმნელი). Москва: Гнозис. ст. 15-30.

**XIII თემა (ლექცია–ზეპირი გამოკითხვა 1–1) კვირა 13.**

კარლ პოპერი. მეცნიერების ფილოსოფია. მეცნიერების მეთოდი. ფალისფიკაციონიზმი და კონვენციონალიზმი. მეცნიერების მიზანი. ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებასთან მიახლოება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. პოპერი, კ., (2000). *რჩეული ნარკვევები.* (მაჩხანელი, ნ., მთარგმნელი). თბილისი: დიოგენე. გვ. 7-17.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Скирбекк, Г., Гилье, Н., (2000). *История философии.* (В. Кузнецов, მთარგმნელი). Москва: Владос. ст. 702-717.

**XIV თემა (ლექცია–სემინარი 1–1) კვირა 14.**

თომას კუნი. სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა. ნორმალური მეცნიერების ბუნება. ანომალია და მეცნიერული აღმოჩენების წარმოშობა. სამეცნიერო რევოლუციების ბუნება. მეცნიერული პარადიგმები.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კუნი, თ., *სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა.* ( ცხადაძე, თ., მთარგმნელი). თბილისი: იოანე პეტრიწი. გვ. 6-14; 121-142.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Скирбекк, Г., Гилье, Н., (2000). *История философии.* ( В. Кузнецов, მთარგმნელი). Москва: Владос. ст. 717-721.

**XV თემა (ლექცია–შუალედური წერა 1–1) კვირა 15.**

ლოგიკური პოზიტივიზმი, როგორც მეცნიერების ფილოსოფია. მეცნიერების ანალიტიკური ფილოსოფია. ცოდნის ორი პირობა. ეპისტემურად გააზრებული და ეპისტემურად უსაზრისო მტკიცებები. ღირებულებითი მსჯელობები – ეთიკური და ესთეტიკური მსჯელობები. მათი შემეცნებითი ღირებულება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. კუკანია, ა., კუკანია, ვ., (2004). *ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი. გვ. 229-236.

- **სწავლებისა და სწავლის მეთოდები** - კურსი გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში, სტუდენტების მიერ ყოველკვირეული დავალებების მომზადებას და მათ განხილვას. სწავლა წარიმართება ინტერაქტიული მეთოდით, პრეზენტაციებით, დისკუსიებით, დებატებით, ტექსტის ანალიზით, მუშაობით მცირე ჯგუფებში, თვითშეფასებით, სხვათა ნაშრომების შეფასებით და სხვ.
- **ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით:

| | | |
|---|---|---|
| 91-100 % | A | ფრიადი |
| 81-90 % | B | ძალიან კარგი |
| 71-80 % | C | კარგი |
| 61-70 % | D | დამაკმაყოფილებელი |
| 51-60 % | E | საკმარისი |
| 41-50% | FX | არასაკმარისი(სტუდენტს ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება) |
| 0-40% | F | ჩაიჭრა (სტუდენტმა საგანი ახლიდან უნდა გაიაროს) |

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u> სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით, თითოეულ მათგანს ენიჭება მაქს. 15 ქულა.თითოეულ შუალედურ წერაში შევა ორი თეორიული საკითხი და ერთი

პრაქტიკული ამოცანა ან სავარჯიშო.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, ზეპირი გამოკითხვით, სადაც თითოეულ გამოკითხვას ენიჭება 5 ქულა.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით. სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, კომბინირებული სახით (ტესტები, თეორიული მასალა), ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არა ნაკლებ 10 დღისა.

- **ძირითადი ლიტერატურა:**


1. პოპერი, კ. რ., *ვარაუდები და დარღვევები.* ( ამბოკაძე, მ., და სხვები, მთარგმნელები). თბილისი: კვარი.
2. კუკანია, ა., კუკანია, ვ., (2004). *ფილოსოფიის საკითხები.* თბილისი: ზეკარი
3. კორძაია, ჯ.,( რედაქტორი.) (1993). *ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში.* თბილისი: განათლება.
4. პოპერი, კ., (2000). *რჩეული ნარკვევები. (*ნ მაჩხანელი, მთარგმნელი*) თბილისი: დიოგენე.*
5. ბუაჩიძე, თ., (1991). *სიცოცხლის ფილოსოფია.* თბილისი: მეცნიერება.
6. თევზაძე, გ., (2002). *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. კოდუა, ე., (1966). *ისტორიის ფილოსოფია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. შიოშვილი, ი., (2007) მაქს შელერი: ცოდნის ფორმები და განათლება. ჟურნალში'' მაცნე''. ტომი #1 ,თბილსი: უნივერსალი.
9. კუნი, თ., *სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა.* ( ცხადაძე, თ., მთარგმნელი). თბილისი: იოანე პეტრიწი.

- **დამატებითი ლიტერატურა:**


1. Скирбекк, Г., Гилье, Н., (2000). *История философии.* ( В. Кузнецов, მთარგმნელი). Москва: Владос.
2. Дильтей, В. (1988). Наброски к критике исторического разума. (Л. Огурцов, მთარგმნელი). *Вопросы философии.* #4.
3. Риккерт, Г., (1998). *Науки о природе и науки о культуре.* (А. Зотов, რედაქტორი და მთარგმნელი). Москва: Республика.
4. Вебер, М. (1990). *., Избранные произведения.* ( М. Левина და სხვები, მთარგმნელები). Москва: Прогресс.
5. Шеллер, М., (1994). *Избранные произведения. (*А. Денежких, მთარგმნელი). Москва: Гнозис.